ერთი ბავშვის პოლიტიკა

დღიური

დღე I (1980):

დღეს სკოლაში მასწავლებელმა გვითხრა, რომ ქვეყანა ახორციელებს ახალ ''დემოგრაფიულ პოლიტიკას'', თითო ოჯახში მხოლოდ ერთი შვილი შეიძლება დაიბადოს. სახელმწიფო ამბობს, რომ ეს ნაბიჯი საჭიროა, რადგან ჩინეთის მოსახლეობა უკვე მილიარდს უახლოვდება და რესურსები აღარ ჰყოფნის ყველას. დედა ამბობს, რომ ახლა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურა შეიცვლება, ბავშვების რაოდენობა შემცირდება, ხოლო უფროსების რიცხვი გაიზრდება. მაშინ ჯერ ვერ ვხვდებოდი, როგორ იმოქმედებდა ეს ჩვენს ცხოვრებაზე, მაგრამ დღეს პირველად ვიგრძენი, რომ დრო თითქოს გაჩერდა, ქვეყანა ცდილობს საკუთარი მომავალი წინასწარ დაგეგმოს.

დღე II (1987):

ბავშვობიდან მივეჩვიე მარტო თამაშს. ჩემს უბანში ძალიან ცოტა ბავშვია, ყველა ერთადერთი შვილია. ჩვენი სოციალიზაცია ძირითადად სკოლაში ხდება, რადგან ოჯახში თანატოლი არ გვყავს. სოციალიზაციის აგენტები, მასწავლებლები და უფროსები გვასწავლიან, როგორ უნდა ვიყოთ შრომისმოყვარე მოქალაქეები.

ხშირად ვფიქრობ, რომ ეს პოლიტიკა არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობას, არამედ ჩვენს ხასიათსაც ცვლის: ვიყოთ მორჩილები, პასუხისმგებლიანები, მაგრამ ზოგჯერ მარტოებიც. სივრცე, სადაც ვცხოვრობთ, თითქოს სავსეა ადამიანებით, მაგრამ ბავშვების სიცილი იშვიათად ისმის.

დღე III (1995):

ახლა უკვე ვხედავ, როგორ შეიცვალა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დინამიკა. დედა ამბობს, რომ ადრე ქუჩები ბავშვებით იყო სავსე, ახლა კი მათ ადგილას ხანდაზმულები დგანან ბაზარში. სახელმწიფო ამაყობს მილწევებით, მოსახლეობის ზრდა შემცირდა, მაგრამ ზოგჯერ ეს სიჩუმე მძიმეა. ჩემს თავში ყალიბდება იდენტობა, მე ვარ „ერთი ბავშვის თაობა“, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მშობლებზე, ბებია-ბაბუაზე და მომავალ ქვეყანაზე. დრო თითქოს სწრაფად არ მიდის, ყველა ცდილობს თავისი ადგილი იპოვოს ახალ სოციალურ წესრიგში.

დღე IV (2005):

დღეს უნივერსიტეტში ჩავაბარე. ჩვენს თაობას სახელმწიფო ხშირად უწოდებს მაღალი სოციალური მობილობის თაობას, რადგან ჩვენ გვაქვს განათლება და შესაძლებლობები, რაც ჩვენს მშობლებს არ ჰქონდათ. თუმცა ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ეს მობილობა ემოციურად ძვირია. ჩვენ მარტო ვიზრდებით, დამოუკიდებლად ვსწავლობთ გადარჩენას. ჩემი მეგობარი ამბობს, რომ ჩვენი თაობა იცხოვრებს უკეთესად, მაგრამ ნაკლებად იქნება ბედნიერი. სივრცე

გარშემო თანამედროვეა, მაგრამ გულში რაღაც სიცარიელე დარჩა თითქოს დაკარგული გვაქვს ძმის ან დის ხმა, რომელიც ჩვენს სოციალიზაციას სხვა სახეს მისცემდა.

დღე V (2015):

დღეს ოფიციალურად დასრულდა ერთი ბავშვის პოლიტიკა. ტელევიზორში თქვეს, რომ ჩინეთის მოსახლეობის სტრუქტურა უკვე სერიოზულად დაბერებულია და ქვეყნის განვითარება საჭიროებს ახალ თაობას. ახლა ნებადართულია ორი შვილის ყოლა, რადგან მოსახლეობის დინამიკა უკვე შენელდა. ვგრძნობ, რომ დრო და სივრცე შეიცვალა ჩვენ გავიზარდეთ კონტროლსა და წესებში, მაგრამ ახალი თაობა თავისუფლად გაიზრდება. ჩემს იდენტობაში მაინც დარჩება კვალად ის ეპოქა, როცა ყოველი ბავშვი სახელმწიფოს პროექტის ნაწილია იყო

დასკვნა:

ერთი ბავშვის პოლიტიკამ შეცვალა ჩინეთის მოსახლეობის სტრუქტურა და დინამიკა, მაგრამ ასევე გავლენა მოახდინა ადამიანების სოციალიზაციაზე და იდენტობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდა და გაიზარდა სოციალური მობილობა, საზოგადოება უფრო ინდივიდუალური და ნაკლებად თანმიმდევრული გახდა. ეს აჩვენებს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობას კი არა, არამედ ხალხის ცხოვრებასა და აზროვნებასაც ცვლის.

მარიამ ივანიძე